№ 111 28 ენკენისთვე, ქვირა 1866—1875 28 ენკენისთვე, ქვირა № 111

ცნობის ფურცელი

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

რედაქცია

ველი ს..ნოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ ხელნაწერებსა.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

საქართველო

უფ. ი. როსტომაშვილისთვის

Ოტა ხნით კიდევ დაუბრუნდეთ იმ საგანს, რომელზედაც წარსულ ნომერში დაიწყეთ ლაპარაკი.

ის სტატიის დასასრულს იყო ნათქვამი, რომ „სოფლებში მომხმარებელთა მაღაზიების გამართვას თავიდამვე ზოგიერთი დაბრკოლება ექნება.“

უპირველესი და უსაშიშროესი დაბრკოლება იქნება ნისიობა და კონკურენცია ახლანდელის ვაჭრებისა.

იმისთვის რომ მაღაზიამ კეთილსინდისიანათა და კარგათ, ანგარიშით წაიყვანოს თავის საქმე აუცილებელად საჭიროა, რომ თავიდამვე ძაინც ნისიობას უფრთხილდეს. შეჰველია, რომ, თუ მაღაზიამ გლეხებზე ნისიათ მიყიდვა დაიწყო, მაშინ ის იძულებული იქნება უფრო ძვირად ჰყიდოს თავის საქონელი და უფრო ცუდის თვისებისაც.

ჩვენებურს ვაჭარს ხელს მისცემს ნისიობა; ხელს მისცემს ამიტომ რომ დღეს ის მანეთიან საქონელს ორ მანეთად ჰყიდის გლეხზე ან კოდს პურში სცელის, და ეს ფასი რომ ერთი წლის შემდეგაც აიღოს, მაინც მოგება დარჩება.

საზოგადო მაღაზია კი ამას ვერ იქ: ის იმდენათ მოგებას არ უნდა ცდილობდეს, რამდენათ სოფლის სარგებლობასა, სიფხიზლე და კარგი საქონლის გაყიდვას. მანეთიანი საქონელი რომ იმან ექვს აბაზათაც გაჰყიდოს გლეხზე, ნისიობა მაინც ხელს არ მისცემს, რადგან ხარჯში ვერ გამოვა.

ანგარიშიან, პატიოსან ვაჭარს, რომელსაც თავის საკუთარი სარგებლობა ესმის და ცოტა სინდისიცა აქვს, ყოველთვის ის ურჩევნია, მანათში ორი შაური მოიგოს, მავრამ ფული კი ხელად მიიღოს, ვიდრემ ნისიათ მისცეს საქონელი, თუნდა მანეთიანი ექვს და შვიდ აბაზათა.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენ გლეხს ძალიან ეჭირება ნისიობა. როცა კუჭი ეწვის შიმშილითა როცა ზამთარში თვითონ და ცოლ-შვილი სიცივით ეკრუნჩხებიან, როცა ხელად ფული არა აქვს, რომ თავის ცოდვილი სხეულის მოთხოვნილება დაკმაყოფილოს, მაშინ ის მზათაა მანეთის საღირალი პური ან ჩითი რამე ორ მანეთად გამოართვას ვაჭარს, ოღონდ კი ნისიად იშოვნოს. იმედი აქვს, შემოდგომაზე ან ღვინო მოვა ან პურიო და გავისტუმრებო. მაგრამ უფრო ხშირად ეს იმედი ატყუებს იმას: რომელიმე უბედურების წყალობით, მხოლოთ იმდენი მოსავალი მოსდის, რამდენიც წლის სარჩოთ ეყოფა. თუ ძალიან მოუჭირა ხელი მოვალემ, აძლევს და თვითონ თითქმის ულუკმა პუროთ რჩება, და თუ არა, ახალ პირობას აძლევს, რომ მომავალ მოსავალზე ერთი-სამად გადაგიხადოო.

როცა ხალხი ამისთანა მდგომარეობაშია, ყოველი ამ გვარი საქმე დიდის სიფრთხილითა და წინდახედვით უნდა დაიწყოს კაცმა, თორემ, თუ თავიდამვე წაბორძიკდა საქმე, მერე უნდა იცოდეთ, რომ ხელ-მეორეთ იმის დაწყობა ძალიან ძნელია.

ამას გარდა ნუ დაივიწყებთ კიდევ იმას რომ ეს ვაჭრები მალე დაინახვენ, თუ რა მაგნებელი იქნება მათთვის ეს საზოგადო მაღაზიები და ამიტომ ყოველის ღონის-ძიებით ეცდებიან, რომ რამე დაბრკოლება მისცენ, როგორმე გაუფუჭონ ვაჭრობა და დააკეტინონ.

ჰკითხეთ იმათ, ვინც სასაფლო ბანკებს მმართაენ ახლა და შეიტყობთ, თუ რა ღონებს ხმარობენ, რა ხმებს აერცელებენ ვაჭრები ჩვენს სოფლებში იმისთვის, რომ ამ ბანკებს როგორმე ბოლო მოუღონ და ამ ნაირად გლეხი ძალა-უნებურად იძულებული შეიქნეს, ფულის დაჭირების დროს, ყოველთვის ვაჭარს მიმართოს და მანეთში მანეთი ხარგებელი აძლიოს.

ვიმეორებთ, ამ საქმეს თავიდამვე ზოგი დამაბრკოლებელი მიზეზი ექნება.

მაგრამ რომელი საქმეა ისეთი, რომ დაბრკოლება არ ექნეს! მოკატებული ქება და სახელი იმასა ჰქვს, ვინც ყველა ამ დამაბრკოლებელ გარემოებებს გადააბიჯებს, მოიშორებს, თავიდამ და ამნაირად ჩვენი დაჩაგრული გლეხისათვის კეთილს, სასარგებლო საქმეს დააფუძნებს.

ს. მესხი

იუბილეი სამეურნეო საზოგადოებისა

Გუშინწინ, პარასკევს, საღამოს, იყო პირველი სამეცნიერო მუსაიფი ჩვენი სამეურნეო საზოგადოებისა. 7 საათზედ მთელი ზალა საესე იყო მოსრული უცხო სტუმრებითა და საზოგადოების წევრებით. ზოგი სამეურნეო ნივთებს ათვალიერებდა, რომელიც იქ იყო გამოფენილი; სხვა ტკბილ მუსაიფს შეექცეოდა; საერთო ბოლო მოუღონ და ამ ნაირად გლეხი ძალა-უნებურად იძულებული შეიქნეს, ფულის დაჭირების დროს, ყოველთვის ვაჭარს მიმართოს და მანეთში მანეთი ხარგებელი აძლიოს.

ვიმეორებთ, ამ საქმეს თავიდამვე ზოგი დამაბრკოლებელი მიზეზი ექნება.

მაგრამ რომელი საქმეა ისეთი, რომ დაბრკოლება არ ექნეს! მოკატებული ქება და სახელი იმასა ჰქვს, ვინც ყველა ამ დამაბრკოლებელ გარემოებებს გადააბიჯებს, მოიშორებს, თავიდამ და ამნაირად ჩვენი დაჩაგრული გლეხისათვის კეთილს, სასარგებლო საქმეს დააფუძნებს.

ს. მესხი

ფელტონი

ძველ გეჯდებზე დანაწერი *)

Დავითიანის ტომობით
Ვახტანგ ვარ ლეონის წულობით.

Სარდლის ძის თვით სარდლისა
Ბეჭედი ვარ რევაზისა.

Ძე სარდალ მდივანბეგისა
სარდალი ებეჭდავ ამ პირსა.

Ღმერთო, მიხსენ სიკვდილის დღეს
Ყოველის ჩემის ნაცოდვით.

Წუთის სოფლის დანგი ვიყავ.

Სიონს ისერა სიძემა,
მას მონა აბაშიძემა.

Სძალ შენთვის ვხმობ,
ტახტთა მით ვეპყრობ.

*) მილებულია იმავე თ. დ. გ. ერისთვისაგან. განშორებული ასოებით დაბეჭდილი სიტყვები ვერ ჩაიწერეს — ვისაც ეკუთვნოდა ბეჭედი; ზოგთა სახელი ზმებშია გამოყვანილი. რედ.

მეფე სოლომონისა
პირმშოდ ხმობილი ტომი დავითის,
თვით მპყრობელი ვარ მტერთ სადავითის (?).

Დავითის ნორჩი
ჯვარით მტერს მოვრჩი.

Ვინ განაგნა ქვეყნად მსჯენი,
მეფედ დაგვსხნა ბრძენთა ძენი.

Ვინ სოლომონ ითვისებდა, მან ძედ
მიხმო არარაკად
დომენტიმ მცხო თვისად ნაცვლად, სა-
ქართველოს პატრიარქად.

Ნერგ დავითოვან,
ქართლისა მწყსოვან
პატრიარქობით, მცხოვართ მომპოვან.

Დავითის ტომით,
ზე განგებ ზომით,
ვზი პატრიარქად არ თუთაქრობით (?).

Ვინ ტომ მოდგამით დავითს მაარსა,
პატრიარქი მყო, ცხოვართ მაარსა.

ძე გურიელის მამია ხანის მიტროპოლიტის ნიკოლოზისა
ქრისტეს ვარ მქებლად,
ვზი შემოქმედლად.

Დიმიტრი ვარ ქრისტეს მონა,
მეფე უფლად მომეწონა.

Დიმიტრი ვარ ქრისტეს მონა,
მეფის ყმობა მომეწონა.

Ეშიკალზაში ზაზა
მეფეთ კარს დაიყაზა.

აწ სამოთხეს შევსა რევაზი

მტერია საბრძოლად სუფრაჯმა
თავს დავიფარე მუზარად.

Უფალმა მაცა შავ ხლვის აქეთი,
დადიანსა მაქვს ლეხუმ-სვანეთი.

Მიწით დამბადა მხოლომან
მასსა უგალობ სოლომან.

Ვინ დავითს ტომობს სქესობით,
სპასპეტ მყო სალთხუცესობით.

Იმერთ ვინ მეფობს იუდეთელი,
მანვე სპად სარდლათ მყო წერეთელი.

დროშებზედ დაწერილი
Ოდეს ზე გარდმო განგებით მეცხო
საცხობელი სამეუფოი,
მე მეფემან მეფეთამან თეიმურაზ
აღვიმართე დროშა
მძლეველად მტერთა.
Ვინ კვერთხად მოსეს ეიწოდე, ამალე-
კისდაც მძლეველად,
წინ საარბელად მეფეთა, ღვთივ წოთმილ
მახვილ მთნეველად.
დრაუჭოთ (?) ფრთედად (?) უმრეოდ (?)
მტერთ მწყობრთა განმაბნეველად
Ცხებულის მეფის მფარველად, მხნეთ უხვად
განმამხნეველად.

ქ. ზეგარდმო ღვთის მიერ განგებით სამეუფოთა საცხებელითა ცხებულმა, ღვთის მოყვარემან მეფეთ მეფემან თეიმურაზ მოგვიბოძა ჩვენ მუხრან-ბატონს პოსტანტინეს დროშა მძლეველად მტერთა თვისთა და განმაბნეველად წინააღდგომთა; და ჩვენდაცა მავედრებელნი და მთხოველნი და მოქენენი მარად ღვთისა მიერ, რათა მფარველად და შემწედ ბრძოლისა შინა მხნედ უმხნედ განმამხნეველად გამოგვიჩინნეს.

სატეეარზედ დაწერილი

აწ ამით შენატევებმა მტერთ გაურეველნი შუბები,
მრავალთა გული გაუპე, უბეს უყენე გუბები!

ზოგადოთ ყველა მიირთმეედენ ცხელ ჩაის.

ბევრით არას აჩქარიდენ სხდომის გახსნას. რეა საათი იქნებოდა, რომ გაიხსნა სხდომა: გამოირჩიეს ღენ. ასტაფიევი თავსმჯდომარეთ თავის თანაშემწეებით და დაიწყეს ღვინის კეთებაზედ მუსაიფი.

კამისიის მომხსენებლათ უფ. რაფიელ ერისთავი იყო და გვარიან ხანსაც შეგვიყოლია მისმა მოხსენებამ; მოგვიყვა და ძრიელ დაწვრილებით შეგვატყობინა ენახის მოელის და ღვინის კეთების მდგომარეობა იმერეთში და ქართლ-კახეთში, განსაკუთრებით ის ადგილი მოგვეწონა, სადაც ღვინის გასაღებაზედ ლაპარაკობდა: მებატონეებმა სარდაფები გახსნესთ და ნამდვილ ღვინოს ყიდიანო და კიდე ვერ ასაღებენ ისე როგორც სირაჯები, რომელნიც ღვინოს წყალსა და ოტკასაც ბევრს ურევენო. საწყალი ჩვენი ქვეყანა, რომ ყველაფერ ცუდს ასე კარგი გასაღალი აქვს და კარგი კი ვერსით იჩენს თავსა!

მომხსენებელის სიტყვით, კამისია ახლა გვირჩევდა, რომ ენახის გასაუმჯობესებლად საზღვარ გარეთიდგან გამოეწეროთ ვაზი და გაეგოთ იქაური ღვინის კეთება; და გასასაღებლათ აქვე შეევადგინოთ საზოგადოება, რომ შეერთებული ძალით გაეამარჯვებიოთ ჩვენ მამულის მოსაყალსაო.

მოხსენება ძრიელ ლამაზის სიტყვით იყო დაწერილი და ტაშიცა ძალიან გულით დაუკრეს. ერთი ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ძრიელ გულკეთილი საზოგადოება გვყვედა, ამ საღამოს: ერთს იმისთანას არავის ულაპარაკნია, რომ ტაშის კერით არ დაეყრუებიოსთ იქაურობა.

ერთმა ჩეხმა უპასუხა კარგათ თ. ერისთავს: მე მთელი ევროპა დამიელია და ყველგან კარგათა მაქვს ღვინის თვისება შესწაელილი, და არსად არ მინახავს ისეთი კარგი, შემრგე და სიმრთელისათვის სასარგებლო ღვინო, როგორც კახური იაო. მარტო აქედგან უნდა ვიფიქროთო, რომ არც ის ვაზი უნდა იყოს ასაჭრელი, რომელსაც ამისთანა ღვინო მოჰყავსო; თქვენ სხვა ქვეყნებიდამ გინდათ გამოწერა და თქვენი საფერავი კი აქედგან გააქვთ პირიმში და ძრიელ კმაყოფილიც არიანო; ნურც ღვინის გასაღების გეშინიათ, ოღონდ თქვენ კი ბევრი მოიყვანეთო. ამ ორი კვირის წინ მოსკოვში ვიყავიო; ერთ დღეს ვერეშჩაგინმა დამპატიჟა და კახური ღვინო გვქონდაო, მეორე დღეს კატკოვმა დამპატიჟა და იმანაც კახური ღვინო მომიტანაო და მთხოვა კიდევაც, რომ აქედგან გამეგზავნა ორასი ბოთლიო. (ნეტავი ისე ჩვენ მოვესწონდეთ, ჩვენი ღვინო კი მოსწონებია ოქროს კალმიან მწერალს!)

უ. პენჩინსკიმ გვითხრა რომ აქ უ. ლ. ჯანდიერისთანა საფუძვლიანათ და აზრიანათ არავის არა უთქვამს რაო; მეც სრული თანახმა ვარ ამ პატივცემული დირექტორის სიტყვაზედ: მისთანა საგნებზედ მიგვაქცევია ყურადღება უფ. ჯანდიერმა, რომ მართლათაცა და მარტო „სამუსაიფოთ“ არ მოსულიყო ის აქ.

ჩვენ ბევრი შეძლება არა გვაქვსო, სთქვა უფ. ჯანდიერმა, რაც უნდა გვექოთ სხვა ქვეყნები, ჩვენ იქ წასელა არ შეგვიძლია ენახების დასათვალიერებლათაო; თუ გიყვარსთ ჩვენი ხალხი და შეგტკივათ მისთვის გული, გახსენით სამეურნეო სასწავლებლები. რომ იქ გაიგონ ეგ თქვენი ქადაგებანი. გააკეთეთ სამაგალითო ბაღები და ჯერ თქვენვე გვაჩვენეთ, დაგვანახეთ—როგორ უნდა ეგ ევროპიულათ ვაზის მოყლა და მერმე დაინახამთ თუ ჩვენც ვერ მოვიქცეთ უკეთო.

უფ. რევაზ ანდრონიკოვმა განაცხადა, რომ ჩვენ უფულოთ ვერას გავაკეთებთო და ფული კი არა გვაქვსო, რომ ჩვენი ღვინო არ გაეყიდოთ დაძველებამდის და კარგათ მოუაროთო. უფ. ა. ჩოლაყაშვილმა განაცხადა, რომ თფილისში შესდგა კამპანია, რომლის მიზანია, პირ-და-პირ მწარმოებელთაგან იყიდოს ახალი ღვინოები და დააძველოს თავის რიგზედ.

ამაზედვე ჯანდიერმა უთხრა ისევე, რომ ჩვენი ქვეყნისათვის მაინც და მაინც ის კი არ არის საჭირო, რომ აქ გაკეთებული კაი ღვინოს მოსკოვში სვამდნო, საქმე იმაში არისო, რომ თითონ მუშა ხალხს, სოფელში, შეეძლოს ამ კაი ღვინის გაკეთებაო.

ამათ გარდა სწავლულმა ქიმიკოსმა სტრუვემაც ილაპარაკა ჩვენი მეურნეობის ცუდ მდგომარეობაზედ, მაგრამ ავათ მოუწონეს მას ეს მუსაიფი: უ. პენჩინსკიმ უთხრა, რომ ამას თქვენგან არ მოველოდითო; არა გვითხარითარადღესაო, იუბილეის პატივცემისათვის იმდენი მაინც გეთქვასთ, როგორც სხვა სხდომებზედ ვიყავით შენგან დაჩვეულიო.

ბოლოს ორი ბოთლი თ. რაფ. ერისთვის სამი წლის კახური ღვინო დაველიეთ ჭაშნიკათ.

ბ. ჯ.

ახალციხის საძალებო შკოლაზედ

—

სხვა და სხვა მიზეზებისა გამო, იძულებული ვიყავი 20 ამ თვეს დამეტოვებინა ახალციხე. სასწაველებელი და ყველა საქმეები, რაც იმას შეეხებოდა, ჩავაბარე ახალციხის კეთილ-მოქმედობითს საზოგადოებას, რომელიც წელს აპრილში დაამტკიცა უმაღლესმა მთავრობამ. პროცელს აღწერას ამ საზოგადოებისას, აღმორჩეულ პირების გვარებს და თვით საზოგადოების პროექტსაც მიიღებთ ამ მოკლე ხანში საზოგადოების ხაზინადრისაგან უფ. ვასილ ბიორგის ძის ბამრეკელოვისაგან, რომელიც ამასთანავე არის საკრეტარი ამ საზოგადოებისა.

მე ჩავაბარე საზოგადოებას სასწაველებელი 70 შაგირდითა.

სასწაველებელს აქვს ამ ჟამად მებელი და სხვა და სხვა კუთვნილება —549 მანეთისა და 16 კაპეიკისა. წიგნები და სასწაველებელი მასალები 153 მანეთის და 39 კაპეიკისა. ძველმა ხაზინადარმა უფ. აბოზოვმა გასწმინდა წარსული წლების ანგარიშები და გადასცა უფ. ბამრეკელოვს 885 მანეთის თამასუქები; ეს ფულები გაცემულია სარგებლით ვანდო პირებზე იმ პირობით, რომ პირველსავე მოთხოვნისათანავე მისცენ ხაზინადარს.

ამ საშუალებით კი ძალი შემოსავალი ემატება სასწაველებელს ყოველ წელს.

სასწაველებელს ყოველ წელს გასავალი აქვს 1100 მანეთამდინ: ორს მასწაველებელს ეძლევა 800 მან. თითოს 400. ხელ საქმის მასწაველებელს 100 მან. წიგნების ყიდვაზე, საკერავის მასალაზე და სხვა წვრილმანი ხარჯზე გადის—120 მანეთამდე, სახლის ქირაში 80 მან.

სასწაველებლის მუდამ შემოსავალს შეადგენს: 1) ქალაქის დაწესებული შესაწირავი ყოველ წელს 300 მან. 2), წევრების გადასახადი, (თითო წევრი იხდის 10 მან., არიან წევრები, რომელნიც იხდიან 5 მანეთს და იმისთანაც, რომელნიც იხდიან 50 მანეთს წელიწადში). ჯერ ჯეროვნათ არის 32 წევრი; ორმა იმათგანმა ისურვეს წელიწადში 50 მან. გადახდა და ორმა 5 მან. დანარჩენებმა 10 მან. იმედია, წევრების რიცხვი ავა 50-მდე. რადგანაც საზოგადოება ეხლა არსდება, ხელის-მოწერა ერთი კვირაა მხოლოდ რაც დაიწყეს.

გარდა ამისა საზოგადოება ეცდება რამდენიმე წარმოდგენა მოახდინოს სცენის მოყვარეთაგან და სხვა გვარი ღონის-ძიება იხმაროს შამოსავლის მომატებისათვის. ბამრეკელოვმა გამოაცხადა სურვილი ლექციების წაკითხვისა ამ სასწაველებლისავე სასარგებლოთ.

უველა ეს საშუალებანი სრულიად საკმაონი იქმნებიან წლის გასავალი დაფარონ და ძველ გადამეტებულს რამდენიმე თუმანი მოუმატონ ყოველს წელს.

საზოგადოება მეტათ თანაუგრძნობს ამ სასწაველებელს და მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ სასწაველებელი წარმატებაში წავა.

ანნა მუსხელიშვილისა

ბორი, 23 სექტემბერს

დღიური

—

□ ჩვენ შევიტყვეთ, რომ ამ ჟამად თითქმის ოთხმოცამდი ყმაწვილები ჩამოუყვანიათ იმერეთიდამ, რომელთაც ახლად გახსნილ სამხედრო გიმნაზიაში ჰსურთ შესვლაო. უველა ამათ ეგზამენები უნდა დაიჭირონ, მაგრამ ვინ იცის, რამდენს მათგანს არ ელირსებათ თავიანთი სურვილს შესრულება...

□ ჩვენებური ენდრო, რომელიც მაკარიაზე წელს ფუთი 3 მან. დათ შაურად იყიდებოდა, ახლა მოსკოვში, როგორც გვწერენ, ხუთ მანეთად და ერთ-აბაზად იყიდებაო და ამბობენო, რომ ეს ფასი კიდევ დაიწევსო.

□ ერთს იმერელ თავადიშვილს გურული თავადის ქალი მოწონებია და შერთვა მოუნდომებია. ქალის დედ-მამა დათანხმებულა, მაგრამ თვითონ ქალს უარი გამოუცხადებია. იმერელს თავის შეურაცხყოფად მიუღია ეს უარი, რამდენიმე ყმაწვილი კაცები წამოუყვანია, მოსულა თავის სასიმამრისას და ძალათ მოტაცება მოუნდომებია საცოლოსი. მაგრამ თავიანთ სურვილი ვერ შეუსრულებიათ: იმათ საცოლო ქალი დახვედრია წინ და, როგორც ნამდვილად გვწერენ, ყველანი კეტით უფრენია...

□ ზემო იმერეთიდამ გვწერენ, რომ აქ ზოგიერთ ალაგებში (სხვათა შორის—საჩხერეში) 14 ენკენისთვეს მოთოვლაო და შემდეგ ცა მოიწმინდა და ყინვები დაიწყოო. ეს ძალიან იშვიათი მოვლენა არისო, რომ ამ დროს ჩვენში ამისთანა სიცივეები ყოფილყოსო. ამ ყინვამ ბევრი ნაზი მცენარეები და ხეხილები გააფუჭა ჩვენშიო.

□ ერთს იმისთანა შემთხვევასვე გვწერენ კიდევ იმერეთიდამ, რომელიც ამას წინათ ჩვენი გაზეთის № 102-ში იყო აწერილი: სოფ. ჯოს ცხვედარი მიჰქონდათ თურმე და რადგან ერთ ადგილს ვიწრო გზა შეხდომიათ, ვიღაცას მამულზე გაუტარებიათ. ამ ადგილის პატრონი გამოვარდნილა რამდენიმე კაცით, შეჭნილა ერთი ცემა-ტყეპა; მღვდელს ამოუწვევია ანაფორა, გაქცეულა და მიცვალებული ჯერ დაუგდიათ, მაგრამ ბოლოს დიდის ვაი-ვაგლახით გაუტარებიათ და ეკკლესიაზე მიუსვენებიათ.

□ რაჭიდამ გვწერენ, რომ მთელი წასული ზაფხულის განმავლობაში ნაქერალის გზა, რომელიც იმერეთიდამ რაჭას გადადის, სრულებით უყურადღებოთ იყო დაგდებული, ორღობე-ჩორღობები გაჩნდაო, ხიდები გაფუჭდაო, ასე რომ ცხენოსანი იმერეთიდამ რაჭას ძლივს გადადიოდაო. ამ გზის შეკეთების მაგიერათ, მეორე ალაგას დაუწყიათ გზის გაყვანა, სადაც ერთი ვერსი კლდე უნდა გასთხარონო, და ეს მხოლოთ იმისთვის, რომ ერთი კერძო პირის მამულთან გზა იყოსო.

„დროების“ კორრესპონდენცია

სენაკის მაზრიდამ, 25 ენკენისთვეს

ამ დღეებში მოხდა აქ თეკლათს ერთი შემთხვევა, რომელიც, ჩემის ფიქრით, მით უფრო ღირსია ყურადღებისა, რომ ამ გვარი შემთხვევები იშვიათნი არ არიან ამ უკანასკნელ დროს ჩვენში:

თეკლათის სოფლის საზოგადოება 700 მოსახლე კაცისაგან შესდგება.

სოფელს ამ თვის 22-ს ჰქონდა კრება, რომელზედაც შემდეგი გარე-

მოება გამოაშკარაედა. საზოგადოებას უკვე ოთხი კეთილ-სინიდისიანი კაცი სახაზინო ფულების მოსაკრებად და სოფლის ექვლათაც ამორჩეული. ამ ფულის მომკრებლებს მოუბოჭიათ სოფლებში სახაზინოთ 750 მანეთი და ჩაუბარებიათ მამასახლისისთვის, ხაზინაში წასარდგენათ.

მაგრამ მამასახლისს ჩაუკეცია ფულები ჯიბეში, (რომელშიაც ვინ იცის, რამდენს ამას გარდაც გლეხების ნაკარცეს ფულებს ქონებია) და მის ნაცვლათ, რომ ფულები აღნიშნულ ადგილზე წარედგინა, გაგზავნებულა შოთში, სადაც თავის ცოლისთვის ძვირფასი ქალის უნაგირი, ტუნუკიანი კაბები და სხვა ბევრი მდიდრული ტანსაცმელები უყიდნია.

არა - ჩვეულებრივად მამასახლისის მეუღლის გამოწყობამა იჭკში შეიყვანა საზოგადოების ექვილნი; და მართლაც არ მოტყუებულან. ბაიგეს, რომ მამასახლისს ხაზინაში ფული არ შეუტანიაო, და ეს ამბავი მაშინვე უეზდის მმართველს გააგებინეს, რომლის ბრძანებითაც შეიკრიბა ყრილობა 22 ენკენისთვეს, სადაც მამასახლისმა ფულების მიღებაზე ჯერ სრულებით უარი განაცხადა, მაგრამ როცა კეთილსინიდისიანებმა კვიტანციების წარდგენით დაუმტკიცეს, მერე სთქვა: შეტანილი მაქვს ხაზინაშიო! ამაზედაც ჩაუწყვიტეს ხმა.

ერთი სიტყვით, ბოლოს მამასახლისი გამოტყდა ფულების მოპარვით დახარჯვაში. ამან სთქვა, რომ თუ სამსახურიდგან არ დამითხოვთ, ამ შეჭმული ფულების რამოდენიმე ნაწილს გარდვიხდიო. ამაზე ხალხმა ერთ-ხმათ შეჰყვირა: „არა, არ იქნება ქურდი მამასახლისათო!

მაგრამ ამ დროს წამოდგა მმართველიდგან გამოგზავნილი ადმინისტრაციის წევრი და გამოუცხადა ყრილობას: „ეს 750 მანეთი თუ არა მამასახლისმა, თქვენ უნდა გარდიხადოთო.“

ამნაირის განცხადების მომსმენმა გლეხებმა, ერთხელ გადახდაზეც ათასი ჭირის და დავა-დარაბის გამომწვევმა, ეელარ გაიმეორეს პირველი ხმა და ისევ ეს სახელ-გატეხილი მამასახლისი დარჩა სამსახურში.

Იაგორ

რუსეთი

✠ კამისია, რომელიც რუსეთის უნივერსიტეტების ახალი წესდებულების შესადგენათ არის დანიშნული, ამ თვის 17-ს წასულა პეტერბურღიდამ უაზანში იქაური უნივერსიტეტის დასათვალიერებელად. აქედამ, როგორც ამბობენ, კამისიის წევრები ისევ პეტერბურღში დაბრუნდებიან და შემდეგ დერპტის, კიევის, ოდესის, ხარკოვისა და მოსკოვის უნივერსიტეტებს დახედვენ.

✠ ოდესის უეზდიდამ იწერებიან, რომ იქ რაღაც ყვითელი ჰია გაჩენილა, რომელიც ეხვევა თურმე ხორბალსა და ძალიან აფუჭებს.

✠ პეტერბურღში კაი ხანია არსებობს ერთი საზოგადოება, რომელსაც ჰქვიან „სასარგებლო წიგნების გამავრცელებელი საზოგადოება“ და რომლის მიზანი თვით ამ სახელიდამა ცხადათ სჩანს. ეს საზოგადოება ახლა გაზეთის გამოცემას აპირებს, სახელად „სახალხო ფურცელს“. რომელიც მდაბიო ხალხისთვის იქნება დანიშნული.

✠ პეტერბურღის გაზეთებში გამოცხადებულია, რომ ს.-პეტერბურღის სლავიანური კეთილ-მომქმედი საზოგადოების წევრები მოიწვევიან 31 სექტემბერს საზოგადო სხდომაზე, რომელზედაც. სხვათა შორის გამოცხადებული იქნება — თუ რა ღონის-ძიება მიიღო ამ საზოგადოების კომიტეტმა აჯანყებული ბერცოგოვინისა და ბოსნიის ხალხის შესაწევნელად.

უცხო ქვეყნები

ბერცოგოვინის არეულობა.

უკანასკნელმა ფოჩტამ მოგვიტანა რამდენიმე ახალი ამბავი ბრძოლის ველიდამ. თითქმის ყველა ეს ამბები აჯანყებულების გამარჯვებას გვაცნობებს.

ამას წინათ სწერდნენ, რომ ტრებინიესთან დაბანაკებულ აჯანყებულებს, რომლის სარდლებად ლიუბობრატოვიჩი და პეკო პაელოვიჩია, ათასი ჩერნოგორიელი მოემატაო. შემდგომ ამათ შეუტყვიათ, რომ თათრის ჯარი ქლეკის ჰორტიდამ აპირებს გამოსელასო, და პირ-და-პირ იქ, ზღვის ნაპირისაკენ წასულან, რომ დაუშალონ ამ ჯარს ზღვიდამ გამოსელა.

ახლა ეტყობულობთ, რომ განდგომილების ჯარი მართლაც ქლეკთან დაბანაკებულა და აქ ორჯელ მომხდარა შეტაკება ამათა და თათრებს შუა, რომელთაც უნდოდათ, რომ ბერცოგოვინისაკენ გამგზავრებულიყვნენ. ამ ორს შეტაკებაში ორივეჯერ აჯანყებულებს გაუმარჯვნიათ ასე, რომ თათრების ჯარს შიგ მხარეში შესვლა და თავიანთი მეომარი ჯარების დახმარება ჯერჯერობით ვერ მოუხერხებიათ.

ავსტრიის გაზეთები ამასთანავე გვაცნობებს, რომ სერბიის და ბოსნიის სამზღვრიდამ წასულან მღდლები ზარკო და იოსები და აგრეთვე არხიმანდრიტი პროკოპოვიჩი, რომელთაც 3,000 კაცი განდგომილი ჰყავთ ხელქვეით და ბერცოგოვინის აჯანყებულ ჯარებთან შეერთებულან.

სერბია. ერთს ვენის გაზეთში დაბეჭდილია, რომ სერბიის ყველა სამხედრო მოხელეებს მმართებლობისაგან ბრძანება მოუვიდათო, რომ პირველს მოხმობისთანავე მზათ იყვნენ, რომ ლაშქარში წაიდნენო.

ესპანია. როგორც მადრიდის გაზეთებში იწერებიან, კორტესები მალე უნდა შეკრბეს ესპანიაში. ერთი ამ გაზეთთაგანი დარწმუნებით იწერება, რომ მმართებლობას გადაწყვეტილი აქვსო, რომ ამ წლის ნოემბერში ამორჩევები იქნება, დეკემბერში უეჭველად ამორჩეული დეპუტატები შეიკრიბებიან და კორტესები გაიხსნებაო.

დონ-კარლოსის აგენტები ძალიან ფაცა-ფუცში არიან თურმე ამ ჟამად; ისინი ხედავენ, რომ იმათი საქმე იღუპება და ამის გამო უკანასკნელ ღონის-ძიებას ხმარობენ, რომ ხალხი ააღელონ და რაც შეიძლება მომეტებული ფული მოკრიბონ უკანასკნელი ბრძოლისთვის.

ქრონიკა

44

ფარნავაზისაგან შემოღებული მწერლობა და მეფეების სიმდიდრე

—

ორმა მიზეზმა აიძულა ფარნავაზი, რომ ქართულს ენაზე მწერლობა შემოეღო. პირველი მიზეზი იყო რჯულის მცნება. ზენდავესტი თხოულობდა ხვნა-მთესველობის წარმატებასაც და ახალგაზდობისათვის მწერლობის სწავლებასაც. მეორე მიზეზი ის იყო, რომ თუმცა მართებლობის წყობილება, სამოქალაქო წესი და სარწმუნოება მართავენ ხალხის შინაგან ცხოვრებას; მაგრამ ყველა ეს ირყვნება და ირღვევა, თუ რომ ხალხს არა აქვს მწერლობა.

მეფე ფარნავაზმა სარწმუნოება რომ მოაწყო და მოარჩა, მერმე მწერლობის შედგენას შეუდგა.

ჩვენი მამეული მემატიანენი ყველანი ერთხმად ამბობენ, რომ ფარნავაზი ნასწავლი კაცი იყოო, და იმან შეჰქმნა ქართული წიგნობრობაო. ამათში თეიმურაზ ბატონიშვილი ამბობს, რომ ფარნავაზი არამც თუ ნასწავლი კაცი იყო, არამედ იყო აგრეთვე მეცნიერი ბერძნული, ასურული, ებრაელი და სპარსული ენებისაო.

ამ თქმულებაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. „ქართლის ცხოვრება“ დამტკიცებით ამბობს, რომ საქართველოში ენები იხმარებოდნენ და ქართველმა ისინი იცოდნენო. მაშასადე ეჭვი არ არის, რომ ეს ენები ფარნავაზმაც იცოდა, მით უფრო უმეტეს, რომ ის იყო შვილი სპარსეთის მეფის ქალისა, რომელმაც თქმა არ უნდა, რომ წიგნი იცოდა, და აბა ეს ქალი შვილს რად დასტოვებდა უსწავლელად.

ფარნავაზმა იცოდა წერა-კითხვა სპარსული და ამ სპარსული მწერლობის მიხედვით იმან შეადგინა ქართულად ანბანი, რომელსაც ახლა მხედრულს ეძახიან; იმან ქართული ალფავიტი ისრე მშვენიერად შეაწყო ხალხის გამოთქმასთან, რომ ყოველი ასო ცალკ-ცალკე გამოსთქვამს თვითოეულს ხმას. მისი მსგავსი მშვენიერი ანბანი, ენისათვის შეფარდებული, ახლაც არა ხალხს არა აქვს. პეტრე უსლარი შეადარებს იმას სხვა ხალხების ანბანთან და მერმე, განცვიფრებული იმისი სიკეთით, ასრე ამბობს: „თუ რომ ქართულს ალფავიტზე დაეწყებათ მსჯელობას ენის გამოთქმასთან შეფარდებით, მაშინ არ შეგვიძლიან არ ვსთქვათ, — რომ ის ქართულ ენის ყველა ხმოვანებს აკმაყოფილებს: თითქმის ეს არის ყველაზე უმჯობესი ანბანი იმ ალფავიტთ შორის, რომელნიც ახლა არსებობენ. ყოველი ხმა გამოიხატება საკუთარის ასოთი, ყოველი ასო მუდამ ერთსა და იმავე ხმას გამოსთქვამს. უველა ევროპიელს ენებში არის ენის საბოძიკებელი და გადასახვევ - გადმოსახვევი ასოები — ორთოღრაფია; ქართველებისათვის კი, იმათი ანბანის სრული სიმშვენიერისა გამო, ამ გვარი სიძნელე არ არსებობს.“

სამწუხაროა მხოლოდ ისა, რომ არც ერთი ლიტერატურული ნაწარმოები ამ დროის ქართველების ცხოვრებისა არ არის დარჩენილი; თუმცა კი ეჭვი არ არის, რომ თვით ფარნავაზის ანბანიც კი არ იქნებოდა უმისოდ, რომ იმასთან რამე მოთხრობებიც არ ყოფილიყო. თეიმურაზი ამბობს, რომ ფარნავაზმა ენა ქართული გაამშვენიერა და განაერცო ხალხშიო. „ქართლის ცხოვრება“ კიდე ამბობს, რომ ამის შემდეგ უცხო ენები აღარ იხმარებოდაო. ეტყობა, რომ ქართული ენა ამ დროს მართლაც ლიტერატურულად გაიკვეთა და ხალხი სხვა მწერლობას აღარ ხმარობდა, არამედ ჰხმარობდა ქართულს მწერლობას ცხოვრებაშიაც და სახელმწიფო საქმეებშიაც. თუ არა და რას ნიშნავენ „ქართლის ცხოვრების“ სიტყვები: „შექმნა მწიგნობრობა ქართული.“

თუმცა კერპობაში დაწერილი წიგნები ბევრი იყო, მაგრამ როცა ქართველებმა მიიღეს ქრისტეს სარწმუნოება, მაშინ სასულიერო წოდებამ, რომ ხალხმა ის აღარ წაიკითხოს მოსპო, დაწო, წაახდინა და გააოხრა. ამას ამტკიცებს ის ფაქტები, რომ მე-V საუკუნეში მეორე მეფემ ვარზბაკუნმა, საქართველოს ეპისკოპოსის მოსეს შემწეობით, შეადგენინა მესრობს ქართულად ხუცური ანბანი. ამის შედგენაში ამათ ჰშველოდათ აგრეთვე ბერძნულისა და სომხური ენების მცოდნენ მოენე ქრისტიანი, როგორც ამბობს მოსე ქორენელი თავის მესამე წიგნის მე-54 თავში.

Ინგილო ჯანაშვილი

ნარევი

ერთს ახალგაზდა რუსის სტუდენტს ისეთი საშუალება მოუგონია, რომლის შემწეობითაც ის გადაიღებს თურმე რამდენიც ჰსურს იმდენს პირს ძველი ხელნაწერებისას, წიგნებისას და სურათებისას. თვითონ დედანი ამ გადაღებით არ ფუჭდება ხოლმე. ეს უმაწვილი ცდილობს ახლა, რომ მმართებლობისაგან პრივილეგია მიიღოს თავის მოგონებაზე და შემდეგ პეტერბურღში აპირებს პირის გადასაღები სახელოსნოს გამართვას.

* * *

ბარიბალდის შემდეგი წიგნი მიუწერია ინგლისელის ჯონ როსსელისათვის.

„1860 წელს თქვენ წარმოთქვით ჰაზრი იტალიის თავისუფლების სასარგებლოდ და ამ თქვენს სიტყვას მთელი ევროპა დაერწმუნა. დღეს თქვენ იცავთ ოსმალოს

ხალხების თავისუფლებას, რომელნიც იტალიელებზე უფრო უბედურნი არიან, და მე დარწმუნებული ვარ, რომ იმათი მეცადინეობა უნამუყოფოთ არ ჩაივლის. რაც გნებავთ, უველაფერს ავასრულებ მე ამ საქმეში.

მქვენი ბარიბალდი.“

* * *

ერას პოლ'ველ გაზეთს შესანიშნავი მაგალითი მოჰყავს ლეტარგიული ძილისა: 23 წლის უმაწვილმა კაცმა, რომელმანც ბევრი უსიამოვნება გამოიარა თურმე თავის ოჯახში, უეცრათ დაიძინა და რვა დღის განმავალობაში ეძინა; ექიმებმა ბევრი მეცადინეობა იხმარეს, რომ გამოეღვიძათ, მაგრამ ვერ მოახერხეს. შემდეგ ორკელ-სამკერ მოერია ამისთანავე ძილი და სამი-ოთხი დღის განმავალობაში ეძინა. ბოლოს ისე დასუსტდა და დაავათმყოფდა, რომ პისბადენის წყლებზე წაიყვანეს ჯანის მოსამატებელად. მაგრამ მისვლისთანავე აქ დაიძინა თურმე და 33 დღის განმავალობაში ეძინა და ამ დროს ექიმები კლისტერით აძლევდნენ მას საჭმელს; მეოცდა-თოთხმეტე დღეს ერთი თვალი გამოახილა, რალაც წაიბუტბუტა და კიდეც მოკვდა.

* * *

ერთი უეზდის ადმინისტრატორია თურმე რუსეთში, რომელიც ხარჯის მოსაკრებად როცა დაიარება სოფლებში, უველთვის წკეპლა და თაფლი დაქვს თან. თუ რომელმამე გლეხმა თავის დროზე ვერ მისცა გადასახადი, წკეპლას თაფლში ამოავლებს თურმე, ჯერ სცემს და მერე ხარჯს და თაფლის ფასს ერთად გადაახდევინებს.

* * *

განცხადებანი

ისყიდება უკველ გვარი ქართული წიგნები თფილისში ეპიფანე კალანდაძის და ამხან. წიგნის მაღაზიაში, პუკიის ხიდზე, მირზოევის სახლში, აბოევიანცის მაღაზიის პირდაპირ. (6—5)

ერთის წლის

ანგარიში

მიონეთის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობის აღებ-მიცემისა, 1-ს სექტებრიდამ 1874 წლისა, ესე იგი პირველ დაფუძნებიდამ ამხანაგობისა, 1-ს სექტებრამდის 1875 წლისა, დამტკიცებული, შემოწმებული რჩეულისაგან 6 სექტემბერს 1875 წელსა.

ამხანაგობაში ირიცხება წეერად სამასოთხი კაცი.

ა) შემოსავალი:

	მან.	კაპ.
1) წევრთაგან შემოტანილი საწილო ფული.	3347	20
2) ამხანაგობისგან ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისაგან და კერძო პირთაგან	3220	„
3) სასარგებლოთ არის შემოტანილი წევრთაგან. . .	480	„
4) სარგებელი აღებულა გასესხებულის ფულისაგან . .	643	81
5) სესხი დაბრუნებულა ახალი ვადა-მიუცემელი და ახალი ვადა-მიცემული . . .	2867	„
6) ჯარიმა აღებულა . . .	2	69
სულ შემოსულა. .	10560	70

ბ) გასავალი

1) გასესხებულა. . . .	9333	„
2) სარგებელი დაუბრუნდათ ვადაზედ წინ შემოტანილის ნასესხისა	9	18
3) სარგებელი მიეცა ამხანაგობისაგან ნასესხს ფულზედ .	96	50
4) სასარგებლოდ შემოტანილი ფული დაუბრუნდათ .	100	„
5) სარგებელი სასარგებლოდ შემოტანილს ფულზედ მიეცათ	4	33
6) ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში არის შეტანილი	200	„
7) ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებამ დაიჭირა სესხობის დროს წესდების ძალით	10	50
8) ტფილისის სავაჭრო ბანკში არის შეტანილი. . .	100	„
9) დახარჯული არის გამგეობაზედ.	295	50½
ჯამი. .	10149	1½
ქასსაში არის ნაღდი ფული	411	68½
ერთიანი ჯამი. .	10560	70

შენიშვნა: 1-ს იანვრიდამ 1875 წლისა ნასესხს ფულზედ 1150 მან. და სასარგებლოდ შემოტანილს ფულზედ 380 მან. სარგებელი ჯერ არ მისცემიათ და რადგან ვადა ჯერ არ შეჰსრულებიათ.

გამგებელნი { პ. ბაქრაძე, ვ. დოდაშვი, მ. შიუკოვი

ფოთი-თფილისის რკინის გზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადება

ფოთი-თფილისის რკინის გზის გამგეობა აცნობებს საზოგადოებას, რომ ამ 30 სექტემბერსა და 1 ოქტომბერს იმ პირებისთვის, რომელნიც მცხეთობაზე წასვლას მოისურვებენ, დანიშნული იქნება ცალკე მატარებლები; იმ მატარებლებში კი, რომელნიც მუდამ დაიარებიან, ამ დღეებში მოგზაურებს არ მიიღებენ. რკინის გზის მატარებელი ამ წესით იქნება:

30 სექტემბერს

თფილისიდამ	მცხეთიდამ
საღამოს 6 საათზე	საღამოს 7 საათზე და 23 მინ.
„ 6 საათზე და 30 მინ.	„ 7 საათზე და 50 მინ.

1 ოქტომბერს

თფილისიდამ	მცხეთიდამ
დილის 6 საათზე და 30 მინ.	დილის 7 საათზე და 33 მინ.
„ 7 „ „ 32 „	„ 8 „ „ 35 „
„ 8 „ „ 34 „	„ 9 „ „ 33 „
„ 10 „ „ 25 „	„ 11 „ „ 28 „
„ 11 „ „ 30 „	ნაშუადღევს 12 „ „ 33 „
ნაშუადღევის 12 „ „ 34 „	„ 2 „ „ 46 „
„ 2 „ „ 48 „	„ 3 „ „ 50 „
„ 3 „ „ 50 „	„ 4 „ „ 56 „
საღამოს 6 „ „ „	საღამოს 7 „ „ 2 „
„ 7 „ „ 2 „	„ 8 „ „ 4 „
„ 8 „ „ 4 „	„ 9 „ „ 6 „
„ 9 „ „ 10 „	„ 10 „ „ 33 „

უკველს მატარებელში იქნება 48 ადგილი I კლასის მოგზაურისთვის, 128 ადგილი II კლასისთვის და 600 ადგილი III კლასისთვის.

ღლესაწაულის წინა დღეს და თვით დღესასწაულ დღესაც თფილისისა და მცხეთის რკინის გზის სტანციაზე ბილეთები ოთხ ალაგას გაისყიდება კასსებში; I და II კლასის ბილეთები ჩვეულებრივს კასსებში და III და IV კლასებისა დროებით კასსებში №№ 2, 3 და 4 სტანციასთანვე. უკველი მატარებელისათვის მხოლოთ იმდენი ბილეთები გაისყიდება, რამდენიც ადგილია; შემდეგ კასსები დაიხურება და გაიღება მხოლოთ შემდეგი მატარებლის წასვლის ნახევარი საათის წინათ.

იმ მოგზაურებს, რომელნიც უბილეთოთ ჩაჯდებიან მატარებელში, გზის ფასი ერთი-ორად გადახდებათ და რკინის გზის აგენტებისაგან მიეცემათ დამატებითი ბილეთები.

1 ოქტომბერს მცხეთაში, ფოჩტისა და რკინის გზის სტანციასთან, მაედანზე სამხედრო მუზიკანტების ხორი დაუკრავს ნასადილევის 3 საათიდამ საღამოს 11 საათამდინ.

ბეჭდვიდგან გამოვიდა და ისყიდება ტფილისში: მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში I და II კარი უარამანიანისა, ფასი 30 კაპ. თავის სურათებით. აგრეთვე ენფიაჯიანცის საწიგნო მაღაზიაში და ივანოვის ბიბლიოთეკაში და აგრეთვე მიხაილოვის ხიდზედ უფ. მირზოევის შენობაში აბოვიანცის მაღაზიის პირდაპირ უფ. ქალანდაძესთან.

ქუთაისში: ბუბერნიის სტამბაში სვიმონ ჩომახიძესთან. უველგან ფასი 30 კაპ.

იბეჭდება და მომავალ თვეებში გამოვა III კარი უარამანიანისა.

უფ. ივანოვის ბიბლიოთეკაში ისყიდება მეორე გამოცემა ქართულ-ფრანცუზულ ლექსიკონისა, რომელიც შედგენილია ივ. როტინიანცისაგან. ფასი ერთი აბაზი.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	36	4	54				
მცხეთა. . .	—	—	—	—	68	-	38	
ბორი . .	12	21	8	41	2	40	1	23
ხაშური . .	2	—	11	10	3	92	2	18
ბეჟათუბანი	—	—			4	42	2	46
ყვირილა .	—	—			5	81	3	23
ქუთაისი. .	8	23			6	75	3	75
სამტრედია .	—	—			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	11	44			9	75	5	42
ფოთი . .	8	40						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	—	—			2	6	1	14
ქუთაისი .	11	51			3	4	1	69
ყვირილა. .	—	—			3	98	2	21
ბეჟათუბანი	—	—	ღამე		5	33	2	96
ხაშური . .	5	41	1	6	5	84	3	24
ბორი . .	7	23	3	6	7	36	4	9
მცხეთა . .	—	—			9	8	5	4
თფილისი .	10	16	7	24	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:

ოდესისკენ — ორშაბ. დილის 8 საათ.

სტამბოლს — კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:

ფოთს — სამშაბათს, ღამით.

ოდესას — კვირას, გათენებისას.

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
მერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:	მ.	კაპ
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სილნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — უველ დღე კვირას გარდა. ზუგდიდს, ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ახალციხეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:

თფილისისა და ფოთისაკენ — უველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.

გ) ბორიდამ.

უველგან უველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

უველგან უველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:

	კაპ
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისბალი) .	8

ბირჟა

პეტერბურგი, 22 სექტემბ.

ერთი მანეთი ტირს:

	მან.	კაპ
ლონდონში 33⅛ პენსი.	—	84
პარიჟში 339½ სანტიმი.	—	89
ესკონტი (სარგებლისფასი)	5	—
ბანკის ბილეთი 5%	99	50
მოგებიანი (პირველისესხი)	232	—
მოგებიანი (მეორე სესხი)	225	—
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საზან. ბანკისა.	93	—
ხერსონის ბანკის (5½)	88	75
მოსკოვის (5%). . .	86	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	190	—
ფოთი-თფილ.რკინ.გზის	139	50
შავიზღვის ცეცხ. გემების	560	—
ქავკაზის და მერკურის. .	168	—
პირვ. საზღვეე. საზოგ.	665	—
პეტერბ. საზღვეე. საზ.	263	—
მოსკოვის საზღვეე. საზ.	257	65

მაზანდა

თფილისი, 27 სექტემ.

	მან	კაპ
პური შორაგალის ფთ.	1	5
ქერი ფუთი. . . .	—	60
ბამბა ერევნისა, ფუთი .	5	20
— ამერიკისა, ფუთი. .	—	—
გაპენტილი ბამბა ფუ.	8	—
მატყლი თუშური ფთ .	7	80
— მარაქმისა ფთ. .	4	50
აბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ძონი, ფუთი. . .	4	—
ძონის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	45
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	54
სპირტი, ვედრო. . .	6	60
შაქარი, ბროც. ფუთი .	8	15
— ფხვნილი ფუთი . .	6	80
უაია გრგვალი ფუთი .	18	50
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	6	—
ოქრო ½ იმპერიალი. .	5	88

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Сентября 1875 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.